



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო  
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის  
ჯანმრთელობისა და სოციალური  
დაცვის სამინისტრო  
G E O R G I A

AUTONOMOUS REPUBLIC OF AJARA MINISTRY OF HEALTH AND SOCIAL AFFAIRS

3299-05-2-202011051645



N 05/3299

05/11/2020

Factcheck-ის რეგიონულ ანალიტიკოსს  
ქალბატონ ნაზიბროლა რეხვიაშვილს

ქალბატონო ნაზიბროლა,


აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში  
2020 წლის 20 ოქტომბერს შემოსული (N19234/05) თქვენი განცხადების საფუძველზე გაცნობებთ, რომ

- აჭარის ა/რ მთავრობის მიერ ეკომიგრანტ ოჯახებს გაეწია შემდეგი დახმარებები:
- სოციალურ სახლებში ეკომიგრანტი ოჯახებისათვის ფართების გადაცემა დაიწყო 2013 წლიდან და დღემდე დაკმაყოფილდა 670 ოჯახი. მათ შორის:
  - 2013 წელი - 87 - ოჯახი;
  - 2014 წელი - 95 - ოჯახი;
  - 2015 წელი - 24 - ოჯახი;
  - 2016 წელი - 61 - ოჯახი;
  - 2017 წელი - 169 - ოჯახი;
  - 2018 წელი - 209 - ოჯახი;
  - 2019 წელი - 25 - ოჯახი;
- „ეკომიგრანტი ოჯახების საცხოვრებლით უზრუნველყოფის პროგრამა“ მოქმედებს 2016 წლიდან, რომლის ფარგლებში სახელმწიფოს ფინანსური მხარდაჭერით (თითოეულს 25 000 – 25 000 ლარი) საცხოვრებელი ფართი შეიძინა სულ 476 ეკომიგრანტმა ოჯახმა, აღნიშნულისათვის გამოიყო 11 754 231 ლარი, მათ შორის:
  - 2016წ - პროგრამით უზრუნველყოფილი თანხა - 2 352 109 ლარი, 96- ბენეფიციარი;
  - 2017წ - პროგრამით უზრუნველყოფილი თანხა - 2 740 048 ლარი, 111- ბენეფიციარი;
  - 2018წ - პროგრამით უზრუნველყოფილი თანხა - 2 942 016ლარი, 118 - ბენეფიციარი;
  - 2019წ - პროგრამით უზრუნველყოფილი თანხა - 2920 058 ლარი, 117- ბენეფიციარი;
  - 2020წ - პროგრამით უზრუნველყოფილი თანხა - 850 000 ლარი, 34- ბენეფიციარი;
- ე. წ „ოცნების ქალაქში რეგისტრაცია გაიარა 1 607 ოჯახმა (მათ შორის 53-ე ბატალიონი 1 173 ოჯახი; 25-ე ბატალიონი 351 ოჯახი; ოპიზრების დასახლება - 69 ოჯახი, ავტობანის დასახლება -14 ოჯახი). აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2019 წლის 6 თებერვლის N-27 განკარგულებით შექმნილი, „სახელმწიფოს (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის) საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ე.წ. ოცნების ქალაქში) მოქალაქეთა მიერ თვითნებურად დაკავების ფაქტების შემსწავლელი სამუშაო ჯგუფის“ მიერ მიმდინარეობს ე.წ „ოცნების ქალაქში“ თვითნებურად დასახლებული ოჯახების შესწავლა. კრიტერიუმების დადგენის მიზნით, კომისია აგრძელებს მუშაობას

- რაც შეეხება სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე ოჯახებზე საცხოვრებელი სახლების გადაცემის საკითხს, აღნიშნულზე ინფორმაცია არ ინახება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში. ამისათვის უნდა მიმართოდ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსა და ქ. ბათუმის მერს.

პატივისცემით,

ანა მელაშვილი

5. 

საჯარო ინფორმაციაზე პასუხისმგებელი პირი

იურიდიული დეპარტამენტი

